19 (31) მაისს 1867. № 20. მეოთხე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:
გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქოშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: მმართებლობის განკარგულება.—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ.—პოლიტიკა: ანგლია, გერმანია, იტალია, ოსმალეთი, ამერიკა.—ტელეგრამმები.—ვაჭრობის ბირჟის ამბავი.—სალიტერატურო ნაწილი: პოლიტიკური უფლება დედაკაცებისა.—სხვა და სხვა ამბავი.—ფელეტონი: რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.—რამდენიმე სიტყვა „ცისკრის“ მკითხველებს.—სახაზინო განცხადება.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.

მმართებლობის განკარგულება.

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოდგან. დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის წარდგინებისამებრ ხელმწიფე იმპერატორმა ამ აპრილის 16 რიცხვს უმაღლესად ბრძანა:

1). ჭუთაისის გენერალ-გუბერნატორის ადგილი გაუქმდეს და გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის მაგივრად ისევ დაეწესოს ჭუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა, რომელიც არსებობდა 1857 წლამდის. სამხედრო გუბერნატორი სამოქალაქო ნაწილსაც უნდა განაგებდეს.

2. სამეგრელოს ცენტრალური გამგეობა, რომელიც შედგენილია მმართველი პირისგან და რჩევისგან, გაუქმდეს, სამეგრელო შეერთდეს ჭუთაისის გუბერნიასთან და სამი იქაური მაზრები უეზდებათ იწოდოს.

საფოსტო ეკიპაჟების დაწესებულებების უმთავრესი კანტორისაგან.

უმთავრესი კანტორა გამოუცხადებს საზოგადოებას, რომ, როგორც წარსულს წლებში, ამ წელშიაც აგრეთვე 9 მაისიდგან გაიხსნა მთელი ზაფხულის განმავლობაში საეკიპაჟო გზა ტფილისიდგან როსტოვამდის დონზედ, სტავროპოლამდის, გეორგიევსკამდის და პიატიგორსკამდის; უმთავრესს კანტორაში და დაწესებულების სააგენტოებში, რომელნიც ზემოხსენებულ ქალაქებში არიან, ყოველ დღე დილის 8 საათიდგან 1-ს საათამდე და ოთხი საათიდგან საღამოს 7 საათამდე შეუძლია ყველას შეიტყოს, თუ როდის წავლენ ეკიპაჟები და აგრეთვე ადგილების ფასი.

ამასთანავე კანტორა ვალად რაცხავს დაუმატოს:

1) რომ ყოველს სააგენტოში მისცემენ მოსასვენებელს სადგომს ყველას, რომელსაც კი აუღია ადგილი ეკიპაჟში, ან რომელიც ეკიპაჟით მოსულა.

2) იმ აზრით, რომ მგზავრებს არა მოაკლდეთ რა, უმთავრესმა კანტორამ მოიწვია კერძო პირები, რომ იმათ გახსნან ბუფეტები მგზავრების სადგომებთან და გაჰყიდონ ზომიერ ფასად, რაც კი დასჭირდებათ.

3) მგზავრებს შეუძლიანთ გამოაცხადონ თავიანთი უკმაყოფილება, რაც კი მგზავრობის დროს შეემთხვევათ. ამისთვის კონდუქტორებს თან ექნებათ ზონარ-გაყრილი წიგნი, სადაც ჩაიწერება ყოველი გვარი საჩივარი.

ქავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების უმთავრესი ინსპექტორი გამოაცხადებს, რომ ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში 14 ივლისიდგან 20- მდე და სტავროპოლის გიმნაზიაში 1-დგან 10-მდე დანიშნულია ეგზამენები იმ ყმაწვილებისთვის, რომელთაც სურთ ამ სასწავლებლებში შესვლა, თანახმად იმ წესდებისა, რომელიც 1849 წელს დამტკიცდა შესახებ-აღზრდისა ქავკასიელ ყმაწვილებთა სახელმწიფო ხარჯზედ მთელ იმპერიის უმაღლესს და სპეციალურს სასწავლებლებში.

ამ წელში ქავკასიელ ყმაწვილებისთვის არის დანიშნული სტიპენდიები შემდეგს სწავლებლებში: 1) მოსკოვის უნივერსიტეტში—9. რომელსაც უნდა ამ უნივერსიტეტში შესვლა, იმან უნდა წარჩინებულად გაათავოს გიმნაზია და ჩვიდმეტ წელზედ ნაკლებისა არ უნდა იყოს. 2) ბამომზრდელის სახლის სანობო სასწავლებელში—3 (Строительное Училище Воспитательнаго Дома); რომელსაც უნდა ამ სასწავლებელში შესვლა, იმან ჩინით უნდა გაათავოს გიმნაზიის კურსი. პირველს საზოგადო კლასში მიიღებენ მხოლოდ თექვსმეტისა და ჩვიდმეტის წლისას. თვრამეტის წლისას მეორე კლასში და 18—19 წლისას—სპეციალურს კლასსებში; და 3) გამომზრდელის სახლის სამოხელო სასწავლებელში (Ремесленное Училище Воспитательнаго Дома)—1. ამ სასწავლებელში მიიღებენ ყველა წოდების ყმაწვილებს 11 წლიდგან 15 წლამდი, ამასთანავე იქ შემსვლელ ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ უეზდის სასწავლებლის კურსი.

პარასკევს, 12 მაისს, დილის 5 საათზედ წავიდა ტფილისიდგან ბორჯომს მისი იმპერატორების უმაღლესობა ხელმწიფე დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული უაეგუსტეისის შვილებითა, რომელნიც არიან დიდი მთავრები ნიკოლოზი და მიხეილ მიხეილის ძენი და დიდი მთავრინა ანასტასია მიხაილის ასული. 13 მაისს შაბათს დილით განემგზავრენ დიდი მთავრები ბორგი და ალექსანდრე მიხეილის ძენი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ.

4 მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შეიკრიბა და ფიცი მიიღო. ამას შემდეგ ტფილისის გუბერნატორმა გახსნა შეყრილობა. ამ ჟამათ ვისწრაფით ვაცნობოთ მკითხველებს სასიამოვნო ამბავი კრების უმთავრესს გადაწყვეტილებაზედ. 6 მაისს საღამოზედ შეყრილობა იყო ბანკის თაობაზედ. გუბერნიის მარშალმა დიმიტრი უიფიანმა წაიხითხა თავისი პროექტი ბანკის დაფუძნებაზედ. თავად-აზნაურობამ მოისმინა ეს პროექტი და შემდეგი გადაწყვეტილება დასდვა:

„გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებამ ერთი ხმით მოიწონა მისგან მოსმენილი პლანი საზოგადოებითის ბანკის დაფუძნებაზედ. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა: უნდა ამორჩიოს განსაკუთრებითი კომიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს წესდება და ამ წესდების შედგენაში იმან ხელმძღვანელათ

რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ.

VI.

მე დამრჩა, მკითხველო, მოგახსენო ბლახა ბედკულაძის მესამე შვილის (მეხბოროეთ რომ იყო მამის დროს) გარდასაველი. იმის ისტორია მოკლეა. მეხბოროობის შემდეგ იმან მენახშიროობას მიჰყო ხელი. მამისაგან სამკვიდრებელში არა დარჩა რა. ერთი ვირი კურტნით ჯამაგირში გაუბარეს. ამ სახედრით ცოტა ხანს ჯერ შეშასა და ფიჩხსა ზიდაღდა ქალაქში გასასყიდათ; მერე ნახშირის ზიდვა დაიწყო. მეორე ვირიც ჩქარა გაიჩინა და თავის სახედრებით ერთს ორ ჯორიან კაცს მიემხანაგა. ესენი ერთად დაუდგნენ ერთ „ნახშირის ორმოს“ პატრონსა ხელქვეითათ და ჩაბარეს ორმოზედ მუშაობა. ნახშირის ორმო შორს იყო. ტყეზედაც დიდი ხარჯი დაადეს. დღე და ღამ წასვლა-მოსვლას ვერცკი ასწრობდნენ. ძალიან მძიმეთ ჰკიდებდნენ საპალნეებსა, ფიცხათაც ერეკებოდნენ სახედრებს ჯორებითურთ. პირუტყვებმა, მეტადრე ზამთარში, ეს ჯაფა ვერ აიტანეს და ზოგი იმათგანი გარდაიცვალა. საძნელო იყო, მაგრამ რა ექნათ, მაინც კიდევ იყიდეს ორიოდე ღონიერი დიდყურები და იმათი უკანონო შვილებიც (ჯორებიც) უნდოდათ ეყიდნათ, მაგრამ ჩვენში პატარა ყურები ძვირია. თუნდ ბედაურებიც რომ ჰყოლოდათ ვერ აიტანდნენ ამ ჯაფას. მძიმეთ აკიდული ნახშირის საპალნით მოდის სახედარი ქალაქში, აქედგანაც ისევ ესე ზედ ასხედან ამ ოთხ-ფეხებს დალალული ორფეხები. თუმცა ფეხებს ალაგზედ მიათრევენ, მაინც ამათ ზურგზედ ისვენებენ. ბედკრულაძის შვილსა ჰყვანდა ერთი რაჭველი ამხანაგი-მენახშირე.

ერთხელ ბედკრულაძის შვილი თავის ამხანაგებით, რომლებიც ნახშირის ორმოზედ მუშაობდნენ, შეელაპარაკა თავის აღას და ამის ბოლო ის იყო, რომ დაემუქრა ორმოს პატრონი (ტყის პატრონიც ის იყო): „მე კარგათ ვიცნობ ბატონსაო, უთხრა ბედკრულაძეს, ეხლავ მივწერ, შენი კაცი ჩემ ორმოზედ მუშაობს და ბორკილით გაგაგზავნინებ“. ამისი ძალიან შეშინდა ბედკრულაძის შვილსა, ამიტომ უფრო, რომ მამისაგან გაგონილი ჰქონდა, ერთხელ რომ დააწიოკა ბატონმა. დაჰკრა ფეხი და გაექცა ამ ორმოს თავის სახედრით, ჯამაგირსაც თავი დაანება, ოღონდ ცარიელ სულს ნურავინ წამედავებაო, და სხვა ტყეში, სხვა მხარეს, სხვა „ნახშირის ორმოს“ პატრონთან გადავიდა, სხვა სახელი და გვარი დაირქვა. თავის ძმა „გროშოსაც“ უთხრა: „შენც ბედკრულაძის მაგიერად „შავბედაძე“ დაირქვი, თორემ ცუდათ არის ჩვენი საქმეო: მამიჩვენისგან ხომ გაგვიგონია, შვილები გოდრის ქვეშ რომ დაემალა და ბატონისთვის ეთქვა, რომ არა მყავსო, დამეხოცაო; მარტო ფულს თურმე არა სჯერდებოდა, შინა ბიჭი ღორებში მაკლიაო... აბა ის დღე დაგვადგება, თუ გვარი და სახელი არ გამოგიცვალეთო. ამ ნაირად ძმებმა გვარი შეიცვალეს... მენახშირობის ხელობა ლუკმას ვერ აძლევდა შავბედაძეს. დღე და ღამ მზეცივით კარზედ გდება და ტანჯვა სხვა იყო.—იფიქრა მედროშკეთ დადგომა (ცოტა მკლავ ღონიერიც იყო). წელიწად ნახევარი ერთ მეფურგუნე მალაკანს ედგა მოჯამაგირეთ; იქ ცოტა ოდენათ შეეჩვია ცხენების ტარებას; მერე მედროშკეთ დადგა, მაგრამ ამაში უფრო ბედხვირი აღმოჩნდა. დაუფთხა ერთხელ ცხენები, თითონაც დაიმტვრა და დროშკაც ცხენითა. „ჭალაქის საავათმყოფოში“ ხუთი თვე დაჰყო; რომ მოარჩა, კინაღამ მადლობა შესწირა გულში ასე მოწყალე ადამიანებს, როგორც მაშინვე მოვალენი გამოუჩნდნენ: საავათმყოფოს ზედამხედველი და დროშკის პატრონი. პირველი ითხოვდა წამლობის ფულსა, მეორე დამტვრეული დროშკის და ფეხმოტეხილი ცხენის გამთელებასა. ამას არც ერთის გადახდა შეეძლო და არც მეორისა: „რომ დამახრჩოთ ცალ ფულს ვერ მოგცემთ, რადგანაც გროში არა მაქვსო.“ ზედამხედველი შეეკრა პირობით შავბედაძეს, ხელწერილი ჩამოართვა, რომ როგორც იმუშავებდა და ფულს იშოვნიდა, უნდა გასწორებიყო, წამლობის ვალი გარდაეხადნა, თუ არ უნდოდა, რომ კანონს ძალით გარდაეხდევინებინა. მეორემ უჩიელა და ციხეში დააჭერინა: ამ კაცს ჩემი ფული მართებს და არ მაძლევსო. შავბედაძე ეუბნებოდა: დამაცადე, ვიმუშაო და მოგცემო.—მე დაცდა არ შემიძლიან, ეხლავ უნდა მომცე ჩემი ახი, თუ არა მანდ ციხეში დალპიო. მოჩიენარმა ითხოვა: რადგანაც შავბედაძე არ მაძლევს ჩემ ვალსაო, გთხოვთ რჯულით მოექცეთ და ჩემი მოვალე კანონისამებრ დამწყვდეეულიყოს, მინამ ვალს გადასწყვეტდესო“. ხუთი თვე დაჰყო ამ ალაგას შავბედაძემ. ჭკვიანი მოჩიენარი მაშინ ძლივს მიხვდა, რომ აქ ჯავრობა ტყუილიაო, მე დღიურ ულუფას ეს ნახევარ წელიწადია იმ კაცზედ ვკარგამო, უფრო მეტსა ვხარჯამო“, იფიქრა, ორნაირი ზარალი მოსდიოდა, მოვალე იქ ჯდომით ვერც არაოდეს ვალს გადასწყვეტდა. სად რას იშოვნიდა, თუ არ იმუშავებდა? ბოლოს ძლივს მოისაზრა და მიხვდა თავის უჭკუობას, წავიდა გამოაშვებინა, ხელწერილი ჩამოართვა, რომ ათ თვემდინ გადაეწყვიტა დროშკისა და დაშავებული ცხენის ფასი. მოვიდა თუ არა შავბედაძე საპყრობილიდგან თავის ძველი ხელობა მონახა. ერთს ნახშირის ორმოს პატრონს დაუდგა მოჯამაგირეთ სამი წლით. ნახევარ ჯაძავირი ერთად გამოართვა და ერთ თვეშივე გადასწყვიტა ვალები: საავათმყოფოსიც და დროშკის პატრონისაც...

რა ვიცი როგორ მოვთვალო, რამდენი ამისთანა ამბავი გადახდა. მეშინიან, მკითხველს თავი არ მოვაწყინო, თუ აქამდისაც არ მოვაწყინე. ჰეშმარიტად, ცოდვა არის, მასხარათ აგდება არის ასე ორი კალმის მოსმით მენახშირეების სიცოცხლის გამოხატვა. მე მგონია, ერთ უკანასკნელს ჰაზრსაც არ აძლევს მკითხველს ასე გარეწრათ, ზემო-ზემოთ მოფოკნილი აღწერა იმათი ცხოვრებისა. ძნელია იმათი ცხოვრების გამოხატვა ნამდვილად, როგორც არის. აღწერა ძნელი არ არის, ვინც დაუგდებს ყურს, მაგრამ.....

. . . . . .

ახლა ნებას მიეცემ ჩემს თავს გამოვეხატო უკანასკნელი აღსასრული იმ მენახშირის ცხოვრებისა.

ზამთარია. მეტყვის ვინმე: „სულ ზამთარი და სიცივე უდგებათ შენ სურათებსაო.“—მერწმუნეთ, არც სიცხეა სიცივეზედ ნაკლები. მენახშირეებს და იმათ მაგვარს ერთ დროს სათბუნებელის შოვნა უჭირთ და ენატრებათ, მეორე დროს საგრილებელისა,—ისი-

უნდა მიიღოს ის საფუძვლები, რომელნიც პლანში არიან გამოცხადებულნი. კამიტეტმა განსაკუთრებითი ყურადღებით უნდა განიხილოს შემდგომი საგნები: 1) ბანკში დაგირავებული მამული გაუყიდველი უნდა დარჩეს, თუ ის უნდა გაიყიდოს უკიდურესს შემთხვევაში და სახელდობ, რა რიგ შემთხვევაში? და 2) თავად ერისთვების გვარს რა ზომით უნდა შეუმსუბუქდეს მონაწილეობის მიღება ბანკის თავი-კაპიტალის შედგენაში? წესდება და ეს პროტოკოლი მთავრობას უნდა წარედგინოს უმაღლესის დამტკიცების გამოსათხოვნელათ; ამასთანავე თანხმობა უნდა გამოვითხოვოთ იმ განსაკუთრებით საგნებზედ, რომელნიც გუბერნიის მარშლის წინადადებაში მოხსენებულნი იყვნენ."

ზემოხსენებულის კამიტეტის შესადგენათ კრებამ ამოირჩია შემდეგი პირნი: გენერალ-ადიუტანტი, გენერალ ოტინფანტერი თ. ბრ. ოსრბელიანი საპატიო პრეზიდენტის წოდებით. იმას ხმა ექნება, გარნა ვალდებული არ იქნება, რომ ყოველთვის კამიტეტში დაესწროს. დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიმ. უფიანი, რომელიც იქნება კამიტეტის თავსმჯდომარე. წევრებათ იქნებიან: გენერალ-ლეიტენანტები თ. ი. ანდრონიკიშვილი, თ. ლ. მელიქიშვილი, მ. ლორის-მელიქოვი და სენატორი ტაინი სოვეტნიკი თ. ბ. ბაგრატიონ-მუხრაელსკი. მსენი შეირიცხებიან საპატიო წევრებათ და კამიტეტში მხოლოდ მაშინ დაესწრებიან, როცა ტფილისში იქნებიან. ნიადაგ წევრებათ, რომელნიც კამიტეტში უნდა იმყოფებოდნენ, თუ სამსახურის მოვალეობამ არ დაუშალა, ამოირჩიეს შემდეგნი პირნი: გენერალ-ლეიტენანტები: თ. ბ. ერისთავი, თ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ. რ. ანდრონიკაშვილი, გენერალ-მაიორები: თ. დ. ჭავჭავაძე, თ. ის. თუმანოვი, თ. ვ. ოსრბელიანი, ივერ. არწრუნი, კ. მამაცაშვილი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები: მ. ჭილაშვილი, ზ. ავთანდილოვი, თ. მ. თუმანოვი, თ. იასე ანდრონიკაშვილი, თ. რ. ანდრონიკაშვილი, თ. დიმ. ჯორჯაძე, ივს. მამაცაშვილი, სტატსკი სოვეტნიკები: თ. ნ. ჭავჭავაძე, და თ. ვ. ბურამიშვილი. უეზდებიდგან ამოირჩიეს შემდეგნი წევრნი: ტფილისის უეზდიდგან: ბაბ. სულხანიშვილი და ვ. თულაშვილი; ბორის უეზდიდგან: თ. ივს. ციციშვილი და ა. ზუბალოვი; თელავის უეზდიდგან თ. ილ. ჭავჭავაძე და დიმ. მგალობლიშვილი; სიღნაღის უეზდიდგან: თ. ბ. ანდრონიკაშვილი და თ. ზ. ვაჩნაძე. ამას გარდა ყველა უეზდის მარშლები, რადგანაც თავის წოდებით კამიტეტის წევრებათ ირიცხებიან, უნდა დაესწრონ იქ, როცა ტფილისში იქნებიან და ან როცა საჭიროებისაგამო მათ დაიბარებენ.

პოლიტიკა.

ანგლია. ლონდონი, 22 აპრილს (4 მაისს). ბუშინდელს ქვემო პალატის ყრილობაში უფალმა ბრაიტმა წარადგინა თხოვნა, რომელიც იყო ხელ მოწერილი 13 განათლებულის და საზოგადოებაში პატივ ცემულის პირებისაგან.

ეს თხოვნა ამოწმებს, რომ ფენიობა ირლანდიაში მხარის უბედურის ადგომარეობიდგან წარმოსდგა, და ითხოვს რაც შეიძლება შეღავათით მოეპყრან იმ ფენიელებს, რომელნიც არიან საპყრობილებში და სისხლის სამართალში მიცემული. უფ. ბლეკი ჰკითხავს ირლანდიის საქმეების სტატს-სეკრეტარსა, იქნება მთავრობამ მისწეროსო, რომ შეუმსუბუქონო დატყვევება იმ ფენიელებს, რომელნიც იმყოფებიან ტუსალათ გამოძიების ქვეშ ირლანდიის საპყრობილებში, მონტში. ლორდმა ნაასმა უპასუხა, რომ სატუსალო ექიმისაგან მივიღეო მოხსენება, თუ როგორ არიან ტუსაღები და მეორესავე დღეს მიესწეროო, რომ იმათ მსუბუქათ მოექცნენო. ამის გამო იმათში არც ერთი ავათმყოფი აღარ იპოვება და რომელნიც ავათ გახდნენ, ისინიც გამოუშვეს. უ.უ. მეგუაირ და ოსბეირნ, ოლდნოგ და სერი ჯონ ბრეი ამბობენ, რომ არამც თუ იმ ტუსაღების მოპყრობა ანგლიისთვის სასარცხვინოა, რომელნიც გამოძიების ქვეშ და დატყვევებულნი არიანო, არამედ თვით იმ ფენიელებსაც საბიზრად მოექცენო, რომელთაც გადუწყვიტეს მადნის მუშაობა. სხვა მხარეში რომ არ გაერჩიათო საპოლიტიკო დამნაშავენი ავაზაკებისაგან არსად ისე ცხარედ არ გაკიცხვიდენ ამ მოქმედებას, როგორც ანგლიაში ანგლიის საზოგადოება. ფენიელების შესახებ კი არა თუ არა ვითარი განრჩევა არ დასდეს, არამედ იმათ ავაზაკებზე უფრო ცუდათ ეპყრობიან. ერთ ანგლიის გაზეთში დაბეჭდეს ერთი ფენიელის მოთხრობა თავის მდგომარეობაზედ დაჭერის შემდეგ; ჯერ აქამომდე არავის გაუცრუებია ეს მოთხრობა. საშინელ ზამთრის ყინვაში ეს უბედურები წვანან მთლად შიშველნი, ცივს ქვის იატაკით დაგებულს სენაკში; იმათ ართმევენ არამც თუ მარტო ფლანელს, ყოველს ტანსაცმელსაც. ერთი ვიღაც ლინჩი ავათ მყოფი დაუჭერიათ და ის მომკედარა სიცივით საპყრობილეში. საჰმელი ისე საძაგელი უკეთდებათ საწყლებსა, რომ ცხვირის წინ ვერ იკარებენ, და რომ კიდეც სჭამონ ისე ცოტას აძლევენ, რომ არც კი ყოფნისთ. ლორდი ნაასი ამბობს, რომ მაგ ამბავზედ ჩვენ ველითო შინა საქმის მინისტრის პასუხსა; ამასთანავე იმან დაუმატა, რომ ერთ ირლანდიის საპყრობილის დირექტორმა სრულიად გააქრუაო ამბავი ფენიელის წართმევაზე. (გაიგონეთ, გაიგონეთ.) იმ ციხეებში, რომელნიც ჩემ ხელქვეით არიანო, ამბობს ნაასი, ეგრე ფიცხლად არ ეპყრობიანო ტუსაღებსა. ჯერ კარგათ არ არისო გაანალიზრული, უნდა გაარჩიონ, თუ არაო პოლიტიკური დამნაშავე ავაზაკისაგან. ეს საქმე პარლამენტმა ჯერ კიდევ უნდა განსაჯოს; მაგრამ მინამ სჯულში არ არისო ეს განრჩევა, ვერც მთავრობა იკისრებსო ამის განრჩევას.

—დიდი სარეფორმო დემონსტრაცია, რომელსაც ლონდონის მცხოვრებნი ამდენს ხანს ელოდნენ, მოხდა 6 მაისს ჰაიდ—პარკში, სადაც სრული წესიერება იყო დაცული. პარკში 50 ათასი კაცი შეიკრიბა; თუმცა პოლიცია არ უშლიდა ამ კრების შედგენას, მაგრამ მაინც მთავრობამ ყოველი ღონის ძიება მიიღო, რომ უწესოება არ მომხდარიყო. ჯარი და ხუთი ათასამდე პოლისმენი პარკის ახლოს შეიყარნენ, მაგრამ ისე, რომ ხალხი იმათ არა ხედავდა. ყველა მოხდა წინათვე მოლაპარაკებით. მიტინგი შეიყარა მშვიდობიანად — და წესიერების დაურღვეველათ. ამ მიტინგზე წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა და გადასწყვიტეს, რომ მმართებლობის სარეფორმო ბილლზედ პროტესტი გამოაცხადონ.

გერმანია. „ქალნის გაზეთში" პარიჟიდამ იწერებიან: „ფრანცია ამ ჟამათ წარმოადგენს ძლიერ შესანიშნაეს, მაგრამ სამწუხარო სანახავს. პარიჟში გაიხსნა საქვეყნო გამოფენა, რომელიც ხალხებისთვის სუყოველჟამს მშვიდობიანობას მოასწავებდა; მაგრამ იმავე პარიჟში სუყველა ალაგას კი ომიანობის ხმა ისმის. ნაპოლეონმა III სთქვა: იმპერია მშვიდობიანობა არისო და იმან რამდენჯერმე დაგვიმტკიცა ეს თავისი აზრი მშვიდობიანობის დაცვით. აგრეთვე სუყოველთვის ფრანცია ყოფილა კეთილი მეზობელი გერმანიისა. ნაპოლეონმა ჯარგათ იცის, რომ იმ პარტიებს, რომლებსაც სურთ ფრანციის ომიანობის დაწყობა, შეადგენენ უმეტესათ საკუთრათ იმპერატორის და იმის დინასტიის მტრები. მართალია ფრანციაში იპოვებიან მრავალნი პირნი, რომელნიც ბონაპარტის ჩამომავლობის გაძრიელება ჰსურთ, და ამ განზრახვით უნდათ ფრანციაში ომიანობა მოხდეს და ამით გაახლდეს იმისი სამხედრო დიდება მეხიკაში დამცირების შემდეგ. ამის გარდა, პარიჟში იპოვება სხვა და სხვა საიდუმლო საზოგადოებები, რომლებსაც ჰსურთ ახლანდელი წესი ფრანციაში დასცენ და ახალი—თავიანთებური წესები დაარსონ. ამიტომაც აქ ყოველ დღეს ისმის სხვა და სხვა ჭორები გერმანიაზე.

— „სახალხო გაზეთში" აღწერილია სადღეღი, რომელიც პრუსსიის პალატის პროგრესისტებმა გამართეს. ამ სადილზედ დაესწრნენ 40 კაცამდე კაცი. სადილი გამართეს გარნიე-პაჟეს და გეროლდის პატივ-საცემლად, რომლებიც პარიჟიდგან ბერლინს მოვიდნენ მღელვარების დასამშვიდებლად. სადილზედ სტუმრები დასხდნენ ამ რიგათ: ერთ თავში დაჯდა უ. ვირხოვი, უკიდურესი პროგრესისტი და ბოლოს—უ. ლევე, რომელიც 1849 წელში იყო ფრანკფურტის პარლამენტის პრეზიდენტათ. უ. ლეევმ აუხსნა წარმოსთქვეს რამდენიმე სიტყვა და გადასწყვიტეს, რომ მმართებლობის სარეფორმო ბილლზედ პროტესტი გამოაცხადონ.

გერმანია. „ქალნის გაზეთში" პარიჟიდამ იწერებიან: „ფრანცია ამ ჟამათ წარმოადგენს ძლიერ შესანიშნაეს, მაგრამ სამწუხარო სანახავს. პარიჟში გაიხსნა საქვეყნო გამოფენა, რომელიც ხალხებისთვის სუყოველჟამს მშვიდობიანობას მოასწავებდა; მაგრამ იმავე პარიჟში სუყველა ალაგას კი ომიანობის ხმა ისმის. ნაპოლეონმა III სთქვა: იმპერია მშვიდობიანობა არისო და იმან რამდენჯერმე დაგვიმტკიცა ეს თავისი აზრი მშვიდობიანობის დაცვით. აგრეთვე სუყოველთვის ფრანცია ყოფილა კეთილი მეზობელი გერმანიისა. ნაპოლეონმა ჯარგათ იცის, რომ იმ პარტიებს, რომლებსაც სურთ ფრანციის ომიანობის დაწყობა, შეადგენენ უმეტესათ საკუთრათ იმპერატორის და იმის დინასტიის მტრები. მართალია ფრანციაში იპოვებიან მრავალნი პირნი, რომელნიც ბონაპარტის ჩამომავლობის გაძრიელება ჰსურთ, და ამ განზრახვით უნდათ ფრანციაში ომიანობა მოხდეს და ამით გაახლდეს იმისი სამხედრო დიდება მეხიკაში დამცირების შემდეგ. ამის გარდა, პარიჟში იპოვება სხვა და სხვა საიდუმლო საზოგადოებები, რომლებსაც ჰსურთ ახლანდელი წესი ფრანციაში დასცენ და ახალი—თავიანთებური წესები დაარსონ. ამიტომაც აქ ყოველ დღეს ისმის სხვა და სხვა ჭორები გერმანიაზე.

— „სახალხო გაზეთში" აღწერილია სადღეღი, რომელიც პრუსსიის პალატის პროგრესისტებმა გამართეს. ამ სადილზედ დაესწრნენ 40 კაცამდე კაცი. სადილი გამართეს გარნიე-პაჟეს და გეროლდის პატივ-საცემლად, რომლებიც პარიჟიდგან ბერლინს მოვიდნენ მღელვარების დასამშვიდებლად. სადილზედ სტუმრები დასხდნენ ამ რიგათ: ერთ თავში დაჯდა უ. ვირხოვი, უკიდურესი პროგრესისტი და ბოლოს—უ. ლევე, რომელიც 1849 წელში იყო ფრანკფურტის პარლამენტის პრეზიდენტათ. უ. ლეევმ აუხსნა

ნი ყველა დროს ნაკლებულებაში და გაჭირვებაში არიან: მეორეც ესა, მე მგონია, კაცი, თუ ჯერ უცხო, სხვა ცხოვრებას აცნობებს მკითხველსა, ისეთი ნიშნები უნდა წარმოუდგინოს, რომ მკითხველმა ცხადათ იგრძნოს სიმძიმე ან სიამოვნება ცხოვრებისა, რომელიც იმას (მკითხველს) არ გამოუცდია და იქნება არც კი უფიქრია იმისთანა პირებზედ, ან ნივთებზედ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა"... საშინელი ქარაშოტია ბუქი მოაქეს. ბამბარი ხეები შტოებს იქნეენ და ზუილით ერთმანეთს ეხეთქებიან. ახალი მოსული თოვლი ცას ათეთრებს ქარის მოწყალებით. ბნელი—უკუმეთი ღამეა, მარტო თოვლი აყენებს შუქსა არემარეს. ამ დროს, ძველის ფარაჯით ზის ერთ ჯორზედ, ორი სახედარი და ერთი ჯორი წინ მიუძღვის, მიერეკება ზარებიან ჯორებსა და ეჟენებიან სახედრებსა. მენახშირეს გულ-ხელი დაუკრეფია და უბეში აქვს ჩაწყობილი ხელის თათები:—დაძროხისა ეშინიან, ფეხებსაც დაუღალავათ ქნეეს ამავე მიზეზით.-„თოშე"ს და „აცეს" ყვირის შეუწყვეტლივ. მაგრამ ქარი ხშირათ იძულებელ ჰყოფს ხოლმე ხელები და ფეხები მოხეიოს მაგრა ჯორსა, რომ არ მოგლიჯოს ჯორის ზურგიდგან და არ გადმოვარდეს. პირის სახიდგან წამ და უწუმ იცლის თოვლის ბუქსა, რომ არ შეახმეს ცხვირ-პირი სიცივითა.. ამ გვარად ერეკება და მიდის ქალაქიდგან ტყისკენ. რაც უფრო მთას ახლოვდება, მაღლობზედ ადის, უფრო და უფრო მძვინვარედ გრიალებს ქარი. ვიწრო გზა არის თოვლით სავსე. ჯორები მიდიან ნაცნობ გზაზედ, მაგრამ თოვლი რეცხს და ეფლობიან მალ-მალე ნაბუქში. ბოლოს, მთის წვერში, უფრო და უფრო მოუმატა ქარმა. ხეობის პირში აიარა ერთ პატარა სოფლელზედ, სადაც აქა-იქ დერეფნებში მწოლარე ძაღლები არ მინდასავით კაეკაევებდნენ, ფეხებზედ ადგომა კი ეზარებოდათ; ასე ვერაობით ასრულებდნენ ოთხ ფეხები თავიანთ თანამდებობას იმის კარზედ, ვის პურსაც სჭამდნენ.....

მენახშირემ ამ სოფელში არამ თუ ბან-ღია და კარ-ღია სახლებში მწოლარე ადამიანებს შენატრა სიცოცხლე, არამედ იმათ დერეფნებში დიდგულათ მღრენავი ოთხფეხების ბედიც კი შეშურდა, რომლებიც თბილად, ნადიმად იწვნენ ერთ ალაგას და გამოიყენებოდნენ უდარდელად და თითქო რაღაც მწარე დაცინვით ადამიანზედ, რომელიც იშველებს და ინახავს ძაღლებს ყარაულად თავიანთ ოხრფეხა ძმების მოსაგერებლად,—და ზოგნი იმათგანი კი ასე დაეარებიან უდროოთ, უგზოუკელოდ და უიმედოთ. ჭეშმარიტად შეშურდა შავბედაძეს ოთხ—ფეხების ბედ-იღბალიცა, გაიქნივ-გამოიქნია თავი, ერთ წამს ცხადათ წარმოიდგინა: მამა, დედა, და, ძმა, ვისაც შავბედრიყო და ვისთანაც საქმე ჰქონიყო, მთელი თავის სიცოცხლე, ქვეყანა... შეადარა ფიქრში თავის მაგვარი ხალხი, როგორც შეეძლო, პირუტყვებს და მწარეთ დასცინა ადამიანებს.

შავბედაძე მენახშირეს უნდოდა ჩქარა მისულიყო, რომ ორმოზედ მაინც გაითბოს ცეცხლით ძვალი და რბილი. მითონაც არ იცოდა, რომ ამ ფიქრში უნებურად ცოცხალი, მგრძნობელი ტანის ძალით გაიქნია თოკი და შეუბრალებლად შემოჰკრა ფრთხილ, მაგრამ ფიცხ ჯორებსა (სახედრები დიდი ხანია დაცვიედნენ და შუა გზაზედ დუქანში დაყარა, თითონ კი დარჩენა არ შეეძლო, დილით სასალნე უნდა წაეღო, ქალაქში მიეშურებოდა). ბოლოს შესდგა წინა ჯორი, მენახშირემ თოკი დაჰკრა,-გადასდგა ბიჯი და მაშინვე უკანა ფეხებზედ შესდგა;—შავბედაძეს ეგონა ჯორი დადგაო, კერპობს და წასვლა აო უნდაო (ჯორებს ამ გვარი ხასიათი, ოჩინობა, ხშირათ სჭირთ: თვით—რჯული და თვის-ქეიფიანი არიან) და გაჯავრებულმა უფრო ღონივრად და მარჯვედ შემოჰკრა გამოკვანძული თოკი,-ჯორი უკან ბრუნდებოდა;—მეორეთაც უფრო სუსხიანი მიაყოლა მენახშირემ: „მე შენ მოგარჯულებო... ჯორს ენა არა ჰქონდა, პირუტყვია, რომ აეხსნა და გაეგონებინა მეტყველი ორფეხი ცხოველისათვის, რომ ეთქვა, არ გაიელებაო და ადამიანი კი ვერ მიხვდა.....

—ისკუპა ჯორმა და გადაირია, მეორეც, შავბედაძით ზურგზედ, მაშინვე თან გადაჰყვა და მშვიდობით! ხევი გახდა იმის სამარე და თოველი შავი მიწისა და კუბოს მაგიერი.... პატარა ხანს უკან იქ აღარა ფერი სჩანდა, თითქმის თოველიც არ იყო აშლილი; ისე გულგრილათ მიასწორ-მოასწორა ქარმა თოველი, და უკანასკნელი შავბედაძის: „ვაჲმე დედავ!" და თოვლის ნაბუქარი მაღლა ზეცაში აიტანა და გადაფანტ-გადმოფანტა, თითქო მაღალი მთების წვერებს ახარა: „ერთი ადამიანი და ცხოველი ჩაეყლაპე, თქვენ განუშორებელ სტუმრებს: სვავებს, ყორნებს, ყვავებს ახარეთ, დაეპატრონონ ოხერ-ტიალ საქონელს....

VII.

.....

.....

.....

ალ. ცაგარელი.

1866. წ. 12 ნოემბერს.

პეტერბურგს.

რამდენიმე სიტყვა „ცისკრის" მკითხველებს.

შარშან მარტიდამვე ცერესელიძემ დაიწყო თხოვნა, რომ „ცისკრის" რედაქციაში მიმეღო მონაწილეობა. მე დიდს ხანს უარსა ვყოფდი, მინამ იმ გვარის კონტრაკტით არ შევეკარ, რომელსაც საჭიროთა ეხედავდი ჟურნალის რიგიანათ წაყვანისთვის. ახლა სხვა და სხვა მიზეზების გამო მე შემდეგის თვიდამ სხვა თანამშრომლებით აღარ მივიღებ „ცისკარში" არა ვითარს მონაწილეობასა.

„ცისკრის" მკითხველებს, რომელთაც ჩემი სახელისთვის მოაწერეს ამ ჟურნალზედ ხელი, თითქმის ყველას მისდის „დროება"; ამისგამო მე ვეცდები, რომ საუკეთესო სტატიები, რომლებიც კი შეიძლება გაზეთში დაიბეჭდოს და „ცისკრისთვის" იყვენ ზადებულნი, დაებეჭდო „დროებაში", რომ არ დარჩნენ ისინი ძველი „ცისკრის" ამარასა.

ანტონ შურცელაძე.

12 მაისს.

კრებას ფრანცუზების მოსელის მიზეზი; ორატორმა სთქვა: „ამ მგზავრობის განზრახვა ის არის, რომ მშვიდობიანობა შეურყეველი დარჩეს და ძმური ერთგულება დამყარდეს ხალხებს შორის. ბამოუცხადებთ ამათ ჩვენ გულითადს მადლობას; ჩვენ ვეტყვით იმათ, რომ ომიანობა ჩვენცა გვძულს და მხურვალე წადილი გვაქვს მშვიდობიანობისა და ჩვენ ყოველის ღონისძიებით ვეცდებით, რომ მშვიდობიანობა დაეცვათ ამ ორს მეგობარს ხალხში ხელოვნების და ხელოსნობის შემწეობით.“

შემდეგ ამისა უ. ლევე მიუბრუნდა სტუმრებს და უთხრა:

„ჩვენ ღრმათა ვართ შერყეულნი იმ უმაღლესი აზრით, რომლითაც ჩვენი ფრანცუზის სტუმრების სული საესეა. ჩვენ დიდათ მადლობელნი ვართ ამ გვარი კეთილი საქმის შედგომისათვის. ჩემ მეგობრების სამაგიეროთ, მე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ მშვიდობიანობა ორივე ხალხისთვის დიდათ სასურველია. თქვენსავით ჩვენც გვეშინიან ომისა რომ ორს ხალხებს შუა, რომლებიც უნდა ერთმანეთს დაეხმარნენ უდიდესს საქმეში—კაცობიობრის ცივილიზაციაში. მე ვსვამ სადღეგრძელოს მშვიდობიანობის დაცვისათვის ფრანცუზებსა და ნემენცებს შუა. ბადაეცით ეს ჩვენი გულითადი გრძნობა თქვენს მეგობრებს.“

ფრანცუზების პასუხი და სხვა ორატორების სიტყვები თითქმის იმასვე შეიცავენ, რაცა სთქვა უ. ლეჭემ.

იტალია. პაპმა პიო მე IX ბრწყინვალეთ იდღესასწაულა ენების და აღდგომის კვირის ცერემონიები. იმან დიდ ხუთშაბათს წარმოსთქვა სიტყვა წმინდა პეტრეს ტაძარში, რომში, სადაც მრავალი ხალხი იყო, სხვა და სხვა რჯულისა და წოდებისა. ეს სიტყვა ძალიან შესანიშნავია თავის სიმართლით და ჭეშმარიტი—ქრისტიანობრივი გრძნობით. პაპმა, სხვათა შორის, მიმართა პროტესტანტებს და გამოაცხადა, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი სარწმუნოება არისო, ერთი ნათლის ღება, ერთი ღმერთი, და ამასთანავე გამოაცხადა, რომ ერთ დროს ქვეყანაზე ყველანი ერთის სარწმუნოების, ერთის ნათლის-ღების და ერთის ღვთის ამღიარებელნი იქნებიანო; კაცს არ შეეფერება მხოლოდ იმისთვის იცხოვროს, რომ მარტო ხელოსნობაზე, ვაჭრობაზე და სიმდიდრეზე იფიქროს. კაცებმა დაივიწყეს სასულიერო მხარე თავის არსებისა და მატერიალიზმს მეტად შეუდგნენ. შეიძლება კაცი შეუდგეს ვაჭრობას, ხელოსნობას და სხვა და სხვა საქმეს, მაგრამ მარტო ამაში არა მდგომარეობს კაცის დანიშნულობა. ჩვენ აქ იმიტომ ვიმყოფებით, რომ მოვემზადოთ საუკეთესო ცხოვრებისთვის და ჩვენს მოქმედებაში ღმერთს ანგარიში მივცეთ.“

ოსმალეთი. კოსტანტინეპოლი, 15 (27) აპრილს. უკანასკნელს დროში ქანდიის კუნძულიდამ არ მოსულა ცნობები ომიანობის შესანიშნავ შემთხვევაებზედ. ოსმერ-ფაშა აგროვებს ჯარებს იმ განზრახვით, რომ ერთბაშათ მთელის თავის ძალით დააწყდეს განდგომილებს და სრულებით შემუსროს. როგორც ამბობენ, იმას განუზრახავს მთელი ქანდიის ხალხის გაწყვეტა, თუ ისინი რაიმე წინააღმდეგობას აღმოაჩენენ. ქანდიელსაც შეუძლიან თოფ-იარაღის ხმარება, ის მიდის ჯარში და თავს არ იზოგავს მამულისთვის. ოსმერ-ფაშა ბაირამის დღესასწაულებს შემდეგ კრიტელებზედ გაელაშქრება. თათრები უწინდებულათ სასტიკათ ეპყრობიან ქრისტიანებს. 12 (24) მარტს ლუკმა—ლუკმა აკუწეს ხუთი ქრისტიანე, რომლებიც მკიდგან დაბრუნდნენ თავის სახლში. 17 (28) ამავე თვეს დიდძალი ოსმალეთის რაზმი დაეცა მოულოდნელად ქაიმენონის და ქალლისახიის სოფლებს. იქ მყოფი ქრისტიანენი იმათ წინააუღგნენ, მაგრამ რადგანაც მტერი ათჯერ მომეტებული იყო, ამიტომ ქანდიის ჯარი მთებში წავიდა. ოსმალები ქრისტიანების სოფლებს დაეცნენ და სულ ერთიანად აიკლეს. 13 (31) მარტს კრიტელების ჯარი 3 ათასი კაცით მიუახლოვდა ამბელახიის და არმენოხის სოფლებს, შეეტაკა ოსმალებს და დიდი ზარალიც მისცა. ოსმალის ჯარი ველარ გაუმაგრდა კანდიელებს და გავიდა ამ სოფლებიდგან. იმათ მიჰმართეს მარკა-ბოლიის სოფელს და იქ მოახდინეს ბევრი სიმტარვალე. არ დაზოგეს ისინიც, ვინც თავისთვის მშვიდობიანათ ისხდნენ სახლებში და ყველაფერი მოაოხრეს. ამგვარათვე მოიქცნენ ისინი სხვა სოფლებში. წმ. სამების სოფელთან ოსმალებს შემოეყარათ რამდენიმე დედაკაცი, რომელთაც დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს. კოსტანტინეპოლში დარწმუნებულნი არიან, რომ კრიტელები ველარ გაუმაგრდებიან ერთად შეგროვებულს ოსმალების ჯარს და ისევ ისე შერიგებას ირჩევენ.

ამერიკა. მეხიკიდამ მოვიდა ცნობები, რომ პუებლო იერი'მით აუღიათ. იმპერიალისტებს მოუკედათ ათასი კაცი. პორფირი დიაცს დაეხოცა ორი ათასამდე კაცი. როდესაც ქალაქი აიღეს, პორფირიო დიაცმა უბრძანა თოფით დაეხვრიტათ მრავალი მეხიკის აფიცრები. მარკეზს უნდოდა მიშველებოდა პუებლოში მყოფს ჯარს, მაგრამ ვერ მოუხდა.—მარკეზის ჯარი დაამცხეს. იმპერიალისტები, რომლებიც ქვერეტაროს გარეშემო დგენან, შიმშილს ითმენენ. მაქსიმილიანე, რომელსაც ყოველის მხრით რესბუბლიკელები შემოერტყნენ, დიდის გაჭირვებით იცავს იმ ქალაქის ნაწილს, რომელშიაც იმყოფება. ამ ცნობების წინააღმდეგ იმპერიალისტები ამტკიცებენ, ვითომც მაქმილიანე იმყოფებოდეს დედაქალაქში და მარკეზი ემზადებოდეს ვერა-ქრუცის გამოხსნას. იქნება იმპერიალისტებმა ხელახლა დაიპრან პუებლო. ქანოლესმა გამოაცხადა, რომ ის ოლრტეგის მომხრეა. ტამპიკოში უ. სიურდისაგან მოვიდა კურიელი დეპეშებით, რომლებშიაც სწერია, როგორ მოეპყრან მაქმილიანეს, თუ ის დაატყვევეს.—შტატის ვისკონსინის სჯულის დამდებმა კრებამ გადასწყიტა, რომ ქალებს აღმოსრჩევაზე მონაწილეობა მიეცეთ; მარტო ეს დარჩა, რომ ხალხმა ეს გადაწყვეტილება დაამტკიცოს

ტელეგრამმები,

ტერბურგში მიღებული.

კოსტანტინეპოლი, 25 აპრილს (7 მაისს). ფრანცუზის კონსული, რომელიც არის ქანდიის კუნძულზედ, და ფრანცუზის სამხედრო გემების კამანდირები ბერძნებს უწინდებულათ მტრულად ეკიდებიან. კოსტანტინეპოლში როს ანგლიის კონსული ლორდი ლაიონსი არის იმას სთხოვეს პარიჟში წავიდეს კონსულად.

ოსმალოს მეფობა ფიქრობს თავის მოხელეებს შეუმცროს ჯამაგირი ერთი მეექვსედით. ეს თოთმეტი თვე გადის, რაც ბევრს იმათგანს ჯამაგირი არ მიუღია. პორტას უნდა მოიხმაროს ეს ზომა იმ განზრახვით, რომ გარეშე სახელმწიფოების ვალის სარგებელი გადიხადოს.

ოსმალეთის ჟრნალები, რომელებსაც პოლშელების მხარე უჭირავთ, თავიანთ სტატიებში იგონებენ, ვითომც რუსის მთავრობას ჩუმი განზრახვა ჰქონდეს აღმოსავლეთის შესახებ და ვითომც მას აგენტები ჰყვანდეს ამ საქმისათვის.

ლონდონი, 2 აპრილს (11 მაისს). გაზეთში Globe სწერენ: „როდესაც ლონდონის კონფერენცია თავდება, ანგლიის მთავრობა ალბათ სთხოვს ფრანციას და პრუსსიას, რომ იარაღი აჯარონ, ანა და მისცემს ამ საქმეზედ წინადადებას, რომლის გამო იქნება კონგრესის შეკრება მოხდეს.“

პარიჟი, 29 აპრილს (11 მაისს). გაზეთი Patrie გვაცნობებს, რომ ლონდონის კონფერენციაზედ პრუსიის წარმომადგენელმა გრაფმა ბერნსტორფმა დაარწმუნეა დანარჩენი წევრები კონფერენციისა, რომ სამი ან ოთხი კვირა საკმაო იქნებაო ლუქსემბურგიდამ პრუსსიელების გამოსვლისათვის.

ბერლინი, 29 აპრილს (11 მაისს). ერთს პრუსსიის გაზეთში სწერენ: „ნამდვილის ამბიდამ ვიცითო, რომ შრანციაში შესწყვეტენ შეიარაღებას.“

ბელგრადი, 28 აპრილს (10 მაისს). ოსმალეთში დასახლებული ჩერქეზები ითხოვენ თავის მამულში დაბრუნებას. ოთხასი ჩერქეზის სახლობა მოვიდა სერბიის საზღვრებზედ; ისინი სამთავროდგან გასელის ნებას ითხოვენ და იქ დადგნენ, მანამ სერბიის მმართებლობის ნება-დართვა მიეცემათ.

პარიჟი, 1 (13) მაისა. დღეს სჯულისდმდებ კორპუსში უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრმა მარკიზმა მუტიემ აცნობა კრებას ლონდონის კონფერენციის შედეგი და უმთავრესი საფუძვლები იმ ტრაქტატისა, რომელნიც კონფერენციამ დაამტკიცა. ეს საფუძვლები შემდეგნი არიან: საყოველთაო გარანტია დიდი საგერცოგო ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტისა იმ სახელმწიფოების მხრით, რომლებმაც კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს; ლუქსემბურგის ციხე უნდა დაინგრეს; დიდს ღერცოგს იმდენი ჯარის შენახვის უფლება აქვს, რამდენიც მშვიდობიანობის დაცვისათვის საჭიროა; პრუსსიის ჯარები გამოელენ ლუქსემბურგიდამ იმ წამსვე, რასწამ ტრაქტატის რატიფიკაციები გაიგზავნება; ეს ამ ერთს თვეს შემდეგ მოხდება; დიდი ღერცოგი შეუდგება ციხის დანგრევას მაშინათვე, რასწამ პრუსსიის ჯარი გავა ლუქსემბურგიდამ. ამასთანავე უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრმა წარმოსთქვა, რომ ლუქსემბურგის ტრაქტატით განემკვიდრება მეგობრული ურთიერთობა შრანციასა და სხვა სახელმწიფოებს შორის და მთელს ევროპაში მშვიდობიანობა დამყარდება.

ბელგრადი, 1 (13) მაისს. სერბიის საზღვრებზედ მყოფმა ჩერქეზებმა დაიწყეს სოფლების ცარცვა. ჩერქეზების წინააღმდეგ ოსძალეთის მმართებლობამ ჯარი გაგზავნა.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 10 მაისს. მემკვიდრე ცესარევიჩი და ცესარევნა წარბძანდნენ პოპენლაგენს. 8 მაისს ისინი რიგაში გემში ჩასხდნენ.—საბერძნეთის კაროლი 9 მაისს რკინის გზით პოპენლაგენს წავიდა.—აქ დიდი მხიარულებით მიეგებნენ 78 კაცს სლავიანებს, რომელნიც საეთნოგრაფიო გამოფენაზედ მოვიდნენ.

პეტერბურგი, 12 მაისს. მემკვიდრე ცესარევიჩი და ცესარევნა ათს მაისს პოპენლაგენს მიეიდნენ; იმათ აღტაცებით მიეგებნენ.

ავსტრიის რეიხსრატი ათს მაისს გაიხსნა. ტრონით-სიტყვაში, იმპერატორმა სხვათა შორის სთქვა: „ვენგრიისაგან მიღებული თავისუფლების და სიმართლის გარანტიები უნდა გავრცელდნენ სხვა ავსტრიის პროვინციებში. ეს მაშინ ასრულდება, როდესაც მოვარიგებთ ერთი ერთმანეთთან მოწინააღმდეგე ძალებს, რომელნიც ოკტომბრის დიპლომში და თებერვლის პატენტში იპოვებიან. რეიხსრატის თანხმობით იმპერატორს იმედი აქვს გააერცელოს თვით-არსებობა მთელი მონარხიის ერთობის შეურყეველად.

ევროპის ბირჟის ამბავი.

ლონდონი, 11 (23) მარტს.

რაც შარშან აქ კოტრობა მოხდა, იმის აქეთ აქაური ვაჭრობა დაეცა. ანგლიურ საქონლებში ძალიან დაბალ ფასებს აძლევენ, ისევ მოთხოვნილობაა ბამბისა, მაგრამ მყიდველებიც ცდილობენ ყოველ გზით, რომ ამის ფასიც დაეცეს; ვაჭრობის ამასთანა მდგომარეობის შემდეგ ბევრი თავისუფალი ფულია ბირჟაზედ.

ლივერპული, 10 (22) მარტს.

წასულ კვირას ნუ-იორკიდამ ატლანტიკურს ვაჭრებს, რომ ამერიკაში ბამბამ აიწია და აგრეთვე მოტანაც მოაკლდა. ამიტომაც აქაც ძალიან ბამბის მოთხოვნილება იყო; აქაური ვაჭრები თუმცა მოელიან ბამბასა ამერიკიდამ და ინდოეთიდამ, მაგრამ შარშანდელზედ ნაკლებ. შარშან იქიდგან მოვიდა 1,213,470 ცალი, ეხლა მოელიან მარტო 984,770 ცალს.

მაგდებურგი, (*) 11 (23) მარტს.

შაქრის ვაჭრობა. ევროპაში რაც ერთხელ შაქრის ვაჭრობა დაეცა, იმის აქეთ ვერ აწეულა. მოელიან, რომ გერმანიის კავშირი დაარსდება და პარიჟის გამოფენა გააღვიძებს ვაჭრობას. ქონვენცია (პირობა), რომელიც ანგლიის, შრანციის, ბელგიის და ღოლლანდიის შორის მოხდება, პირველ მაისიდგან დაიწყობს თავის ძალას, და ამიტომაც უეჭველია, რომ ძალიან დიდი გავლენა ექნება შაქრის ვაჭრობაზედ და ამ მხარეებიდგან უმეტესს გაიტანენ შაქარსა.

ნუ-იორკიდამ, ჰავანნიდამ და კუნძულ-სანსალვადორიდამ, მავრიკიიდამ და სხვ. კარგ ამბავს იწერებიან შაქარზე. ამსტერდამის ბირჟაზე თეთრი შაქარი $1^3/_4$—2 გულდ. ნოემბრის ფასებზე ნაკლებ გაიყიდა, მუქი კი $^1/_2$ 1 გულდ. ნაკლებ 100 კილოგრამზე. აქ იმედოვნებენ, რომ 1866—67 წელ. ავსტრიაში იმოდენა შაქარი გამოვა, რამდენიც წასულ წელიწადს. ესე იგი 1,350,000 ცენტნერი. (3) მავრიკიდამ (4) წრეულს შაქრის მოსავალს შარშანდელზედ ნაკლებ მოელიან. წარსულ წელიწადს 2,300,000 ცენტნერი მოვიდა, წრეულს კი 1,500,000 ცენტნერზე მეტს არ მოელიან. ევროპის პორტებში ამ მოკლე ხანში ჰავანნიდგან და სხვა ინდოეთის კალონიებიდგან მოელიან მრავალს შაქარს.

პოლიტიკური უფლება დედაკაცებისა.

(შემდეგი).

მისს ქობბის წერილის შემდეგ ჩვენ უნდა მიეჰმართოთ Liverpool Mercury-ს სტატიას, რომელიც ძალიან ესარჩლება ანგლიის დედა-კაცების პეტიციას. ის ასე იწყებს თავისს საბუთებს: „მამულისა და სახლების მფლობელნი და აგრეთვე საკუთარის ვაჭრობის მექონნი დედა-კაცნი ანგლიაში და ვალლისში, ითხოვენ განთავისუფლებას პოლიტიკურის მცირე-წლოვანებისაგან, რომელშიაც ისინი აქამომდე უპყრიათ. პეტიცია შემოიტანა პარლამენტში სტუარტ მილლმა; ის არის მოაზრებული თვით მდედრობითის სქესისაგან, ხელ-მოწერილია 1500 პირთაგან; იმათ რიცხვში არიან გამოჩენილნი ქალნი ლიტერატურაში, მეცნიერებაში და თვით პოლიტიკაში ამ სიაში უჩვენოთ მხოლოდ ბარრიეტა მარტინო და მერი სომერვილლი; ამ დედა-კაცებმა მრავალი სასარგებლო საქმეები შეასრულეს და ამითი დაამტკიცეს ნიჭიერება თავიანთის სქესისა“. შემდეგ ამისა ზემოთ მოხსენებული გაზეთი ცდილობს, რომ წინააღმდეგობა უჩვენოს ანგლიურს სჯულში დედაკაცების შესახებ. ის ამტკიცებს, რომ ანგლიის საზოგადო თვით-მართვაში, იმ დედაკაცებს, რომელნიც ხარჯს იძლევიან, სჯული აღმორჩევითს ხმას აძლევსო; იმათ აქვთო ხმა სამრეველო კრებაში; იმათ ირჩევენო სამაზროსა და სამრეველოს თანამდებობაებში. თუ აქ იმათ სჯული კენჭს აძლევსო, მაშ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ იმათ ხმის უფლება

(*) მაგდებურგი უმთავრესი ქალაქია საქსონიაში, რომელიც პრუსსიას ეკუთვნის. ამ ქალაქში 86 ათასი მცხოვრებელია, მრავალი ფაბრიკები და ქარხანები, უმეტესათ შაქრის ქარხანები, და განთქმულია ვაჭრობით.

(2) ქილოგრამმია თითქმის $2^1/_2$ გირვანქა.

(3) ავსტრიის ცენტნერში არის 3 ფუთი და 16 გირვანქა.

(4) მავრიკია ანუ ილ-დე-შრანსი კუნძულია ინდოეთის ოკეანეში. აქ მოდის სხვა და სხვა სამხრეთის მოსავალი, უმეტესათ შაქრის ლერწამი.

აღკრძალული აქვთო საქვეყნო საქმეში, რომლისთვისაც ისინი მომატებულათ იღვწიანო? ბასაკვირველია არ არისო, რომ დედა-კაცების მოთხოვნილებამ გააოცაო მრავალი; საკვირველი ის არისო, რომ ჟურნალებისა და გაზეთების ბაასმა პეტიციის გამო საქმე ნამდვილათ ვერ გაარკვიაო. რა მიზეზიაო, რომ პეტიციის ყველა მოწინააღმდეგები იმ აზრისანი არიანო, ვითომც პეტიცია ითხოვდეს, რომ მთელს მდედრობითს სქესს მიეცეს ალმორჩევითი ხმა... არავის არას დროს არ უთხოვნია ესა: არავის ჰქონია აზრში, რომ ყველა დედა-კაცებს მიენიჭოს კენჭი. პეტიცია იმათ შეეხება, ვინც ნიჭიერებით და ცენზით ამისი ღირსია. დედაკაცის მოწაწილეობა პოლიტიკაში ისე არ შესძრავდა სახელმწიფო წესს, როგორც არა სძრავს იმათი მოწაწილეობა სამრეველოს საქმეებში. არც საოჯახო ბედნიერებისთვის უნდა ვშინოდეთ. იმ დედა-კაცებს, რომელთაც კენჭი უნდა მიეცეს, ან უოჯახონი არიან, ან ოჯახის თავნი არიან. ისინი არიან განათლებულნი, ნასწავლნი, ღონისძიების მექონნი, მაშა სადამე იმათ მოსყიდვაზე რა ეჭვი უნდა გვქონდეს? ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გვარს დედათ-სქესის კენჭის მოპოება დიდათ სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის.

ამითი თავდება Liverpool mercury-ს დედათ ქება. ჩვენ უჩვენეთ სხვა და სხვა პირთ აზრი ამ საგანზე: ვინ არის მართალი იმათში, ვინ მტყუანი, მკითხველმა თვითვე გაშინჯოს.

ამის დასამატებლად მოვიხსენებთ კიდევ ორ წიგნს, რომელიც ქალებისაგან არის დაწერილი. პირველი იმათგანი ეკუთვნის მადმუაზელ Დობიეს. ის არი დაწერილი ლიონის აკადემიის ტემაზე; აკადემიამ ეს შრომა დააჯილდოვა. Დობიეს აზრი ის არის, რომ სჯულმა და მმართებლობამ შემწეობა მისცენ ღარიბ დედა-კაცებს; ის ამტკიცებს, რომ დედათ სქესს უნდა მიენიჭოსო თვით-მდგომარე უფლებაო, რომელსაც ისინი ფრანციაში მოკლებულნი არიანო; იმათის შევიწროების მიზეზნი არიანო მამა-კაცნი სჯულის დამდებნი. Დობიეს წიგნი, თუმცა ხან და ხან წრეს გარეთ გადის, მაგრამ საფუძვლიანათ არის დაწერილი, საესეა საბუთებით და ამისთვის ის მხედველობაში უნდა იქონიოს ყველამ, ვინც ყურადღებას აქცევს ამ საგანს.

მეორე თხზულებაა მადამ მინნა პინოფისა; ის არის გერმანიელი. იმისი: „დედა-კაცის მომზადება შრომისთვის“ დაფუძნებულია სულ სხვა აზრზედ, ვიდრე Დობიეს წიგნი. ის სამოქალაქო და ეკონომიურს მდგომარეობას დედა-კაცისას არ შეეხება. ის ამბობს, რომ პირველად დედათ სქესმა იმაზედ უნდა იზრუნოსო, რომ ზნეობა და გონების გახსნა მოიპოვოსო. „ჯერ ჩვენ უნდა წესი დავდოთ შინაურს მდგომარეობაში. დიდების მოყვარეობა კი არა, სიმდიდრე და მდიდრული ცხოვრება კი არ არის დედაკაცისთვის წყარო იმათის ამაღლებისა და დიდებისა, არამედ სერიოზნი, სამუდამო შრომა, აღზდა, აღზდა ნამდვილი და არა გარეგანი. აი რაზე უნდა იყოსო მიქცეული ყურადღება დედათ სქესის ემანციპაციის მოსარჩლებისაო.

სხვა და სხვა ამბავი.

— პარიჟში ლაპარაკობენ ერთს ანეგდოტს: ოპოზიციის დეპუტატმა, შულ—სიმონმა, სჯულის-დამდებს კორპუსში ერთს განყოფილების კრებაში სიტყვა წარმოსთქვა, წინამდეგ სამხედრო რეფორმისა და სხვა სხვა კანონების პროექტებისა. იმან გამოაცხადა, რომ ეს პროექტები ხალხს არ მოსწონსო, და ამასთანავე სთქვა: „არის კი ერთი საშუალება, რომ ფრანციის საქმე რიგიანათ წავიდეს, რომ ჩვენი ქვეყანა დავამშვიდოთ, კრედიტი მოვიპოვოთ, ევროპასთან კავშირი და მშვიდობიანობა დავიჭიროთ, და ამასთანავე ჩვენს მხარეს მივანიჭოთ თავისუფლება, რომელიც არას მოაკლებს ფრანციის ძლიერებას.“ რასაკვირველია ყველა იქ მყოფმა დეპუტატებმა ამ საშუალების შეტყობა ისურვეს. შულ—სიმონმა დიდხანს არა უპასუხარა, ბოლოს სთქვა: „ეს საშუალება ძალიან უბრალოა—იმპერატორმა თითონ და მემკვიდრეების მაგიერ ტახტზე ხელი უნდა აიღოს და დაამკვიდროს რესპუბლიკა, რომელიც იმან მოისპო.“

—ბერმანიელ მოქალაქეების ადრესი ფრანცუზებთან. „ფრანკფურტის გაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი ადრესი გერმანიელ მოქალაქეებისა ფრანცუზებთან: „ომი, ომი“!—მუქარით ყვირიან რეინის ორთავე კიდეებზედ, ვისაც ჰსურს სისხლის დამღერელი შეტაკება. არც თქვენ გინდათ, არც ჩვენა! ჩვენ არა გვძულს ერთი ერთმანეთი და პატივს ვსცემთ ერთმანეთსა. მაშ, ფრანცუზებო, წარმოსთქვით, რომ ამას იქით კეთილად იცხოვრებთ ჩვენთან, ისე, როგორც შეჰფერის კარგს მეზობლებსა. გამოვაცხადოთ, რომ არ გვინდა კაზარმებათ გავხადოთ ჩვენი განწყობილი სამოხელოები, და ჩვენი აყვავებული ველები და ჭალები არ გვინდა გავხადოთ სამხედრო ბანაკათა; დაბრმავებულს ბრძოლასა და სიმძულვარეს ნუ ავაკლებინებთ ჩვენს მშვიდობიანად მონაგებსა! ხმა-მაღლა გამოაცხადეთ, რომ არ გინდათ დაშალოთ ის მშვენიერი დღესასწაულობა, რომელიც ჯერეთ არ ნახულა და რომელზედაც მოუწოდეთ მთელი ქვეყნის ხელოვნების ნაწარმოები ერთი ერთმანეთთან შესადარებლად. სთქვით, რომ არ გინდათ ხელში აიღოთ მოშაკედინებელი იარაღი, რომელიც კაცობრიობის გასაწყვეტათ გამოუგონებიათ! ერთათ წარმოესთქვათ, რომ არ გვინდა მხეცებსავით ერთმანეთის დაგლეჯა, არ გვინდა ბარბაროსებსავით და ახალ ატილლასავით დავსწვათ და მოვაოხროთ სოფლები და მოვსტაცოთ ერთი ერთმანეთს ყოველი ჰერნახული. სთქვით, რომ უბრალოდ არ გინდათ გაიუპატიუროთ თავიანთი თავი მომაკედინებელი ომის ბოროტ-მოქმედებითა! გამოვაცხადოთ, რომ ევროპის ხმელეთზედ ჩვენ ორ განათლებულს ხალხს გვინდა ერთათ შრომა კაცობრიობის საკეთილ-დღეოთ! ევროპაში ორივე ხალხს საკმაო მიწა-წყალი აქვთ. ფრანცია და გერმანიაც საკმაო არიან, რომ მშრომელი და მმოქმედი კაცები მოთავსდნენ, რომ გამომძიებელმა და წინ-მსვლელმა ჭკუამ მძლავრი ფრთები თავისუფლად გაშალოს. ფრანცუზებო! გამოგვიწვდინეთ ხელი ერთი ერთმანეთთანა კავშირისა და მეგობრობის დასამტკიცებლად!“

—შესანიშნავი მცურავი. ნაპოლიდგან (საბერძნეთშია) გამოუგზავნიათ ერთი წერილი და შიგ სწერია ერთი საკვირველი მცურავის ამბავი. ეს მცურავი წყალში უფრო ხშირად არის, ვინემ ხმელეთად. ამ მცურავს ეძახიან „თევზსა“. წინათ ის ზღვაში მარჯანს იჭერდა. როდესაც ზღვა აღელდება, როდესაც ვერც ერთი ხომალდი და ვერც ერთი ნავი ვერ დაიძერის მოსეის მახლობელ კუნძულებზედ სასიარულოდ; მაშინ „თევზი“ ჩავარდება ხოლმე ზღვაში, მიადგება ხომალდს, რომელიც იღუპება და, როგორც შეიძლებს, ისე ეხმარება; ხან-და ხან იმას გაგზავნიან ხოლმე ერთი კუნძულიდგან მეორეზედ. უკანასკნელათ თევზმა ერთი მარჯვე საქმე ჩაიდინა. ერთი საქეიფო იახტა (პატარა ხომალდი), რომელიც იყო მდიდარი ბერძნისა, ძალიან გაშორდა კიდეებსა და შეეიდა შიგნით ზღვაში. ამ დროს ატყდა ქარიშხალი ძანდიის გარემოში. მდიდარმა კაცმა უეცრად შენიშნა, რომ იახტასთან მოსცურავს ის შესანიშნავი მცურავი. იახტის პატრონმა სთხოვა „თევზსა“, რომ იმის დედმამას შეატყობინოს: რადგანაც ქარიშხალი ატყდა, ამისთვის გზაზედ დამაგვიანდაო და ნურაფრის ნუგეშინიანო. „თევზი“ წავიდა და საღამოს ძანდიის კიდეზედ მიადგა. რაც მდიდარმა დააბარა, ყველაფერი შეასრულა. მესამე დღეს საღამოს იახტაც მოადგა ნავსადგურსა. იმის პატრონმა ამისთანა სამსახურისთვის „თევზს“ ოქროს თასი აჩუქა.

—Новая адская машина). Გუსტავ სტრუვე ერთს გაზეთში სწერს რამოდენსამე ამბავს ერთს მაშინაზედ, რომელსაც ის ეძახის ყუმბარის საროლსა. იმას სცოდნია 1849 წლის აქეთ ეს მაშინა, და კიდეც უნახავს, რომ ლონდონში და ნიუ-იორკში უხმარიათ. ჩრდილოეთის ამერიკაში ეს მაშინა არ იყიდეს, იმისთვის რომ არ უნდოდათ შინაურს ბრძოლაში ეხმარათ ამისთანა მომაკედინებელი ნივთი. ამ მაშინის შინაგანი მოწყობილება არავისთვის არ უცნობებია იმის გამომგონებელსა. ბარედამ სჩანან მხოლოდ ტუჩი, რომელშიაც ჩააგორებენ ხოლმე ყუმბარებსა, და ლულა, საიდამაც გამოვარდებიან ხოლმე ყუმბარები ელვაზედ უფრო ჩქარა. ამ მაშინას ამოქმედებს ან კაცი, ან ორთქლი. სტრუვე ამბობს: მე მინახავსო ეს მაშინა, როცა იმაში სდებდენ ორ გირვანქიანსა, თორმეტიანს და თერამეტ გირვანქიანს ყუმბარებსა. ხან კაცი ისვროდა, ხან ორთქლის ძალა. ერთ მინუტს სამ—ასს ყუმბარას გაისვროდა; მეორე მაშინა იყო, რომელშიაც თორმეტ-გირვანქიანს ყუმბარასა სდებდნენ. ის ერთ მინუტს 50 და სამოცს ყუმბარას გაისვროდა. ეს მაშინა კიდევ იმითია კარგი, რომ არც კომლი სჩანს და არც ხმა აქვს. ლულა არაოდეს არ ცხელდება. არაოდეს წინ დაუხედავათ არ გავარდება. არც თოფის წამალია საჭირო და არც ფისტონი. შეიძლება ამ მაშინამ რამოდენსამე საათს ზედიზედ იმოქმედოს. როგორც საშეპელიდგან წყლის ნაკადი ამოქუხს, აგრეთვე ამ მაშინიდგან ყუმბარები გამორბიან. რამდენათაც უფრო დიდი ძალი მოქმედებს გასასროლად, იმდენათ უფრო შორს მიდის ამ მაშინის ყუმბარა. როცა რვა კაცი აწარმოებდა ამ მაშინას, მაშინ ყუმბარა ერთ ვერსს ნახევარზედ სცემდა. როგორც ამბობენ, თერამეტ გირვანქიანი ყუმბარის მაშინა შვიდ ნახევარ ვერსზედ სცემსო. მიზანზედაც ძალიან კარგათ მიდის. ერთხელ რომ კარგათ მიზანზედ მოჰმართო, მეტი არა უნდა რა. მერე შეიძლება, თუ საჭირო იქნა, ცოტა გვერდზედაც მისწიო, და ასწი-დასწიო. ამ რიგათ ერთ მინუტში შეიძლება გასწყვიტო მთელი ბატალიონი თავიდგან დაწყებული ბოლომდი. ეს მაშინა რომ ჯარში იხმაროს გასაცებელს ამბავს მოახდენს. ამისთანა მაშინასთან ჯარმა სულ სხვა რიგათ უნდა იმოქმედოს. ახლანდელი ტაქტიკა აღარ გამოდგება იის წინააღმდეგ.

—Аэронавтическая крепость Лондонში. ლონდონში ამ დღეებში მოხდა შესანიშნავი კრება ერთ სახლში. ამ შენობაში მრავალი ცუდი—ყოფა ქცევის კაცები შეგროვდნენ. ერთმა კაცმა დაიწყო ამბავი—ქადაგება, თუ რა რიგი წვალება გამოუელიათ სხვა და სხვა ანგლიის საპყრობილეში, სადაც იმათ დაუყვიათ მრავალი ხანი. ეს ორი კაცი უწინ ძალიან დიდი ავაზაკები ყოფილან, მაგრამ ბოლოს დროს ისევ კეთილი გზა ამოურჩევიათ და მოქცეულან. იმათ უამბეს თავის მსმენელებს ყოველი გვარი გაჭირვება, რაც კი გამოეცადათ საპყრობილეში. ისინი ძალიან ჰკიცხავდნენ საპყრობილეების უფროსებს, რომლებიც ცუდათ ექცეოდნენ ტუსაღებსა და ძალიან აძაგეს წკეპლით დასჯა, რომელსაც აქამომდე ხმარობენ ანგლიის საპყრობილეებში. მეორე ორატორმა, რომელსაც დიდი უბედურება გამოუვლია, ცოცხლად გამოხატა ის უბედურება, რაც კი შეემთხვევათ ხოლმე იმ ტუსაღებსა, რომელთაც გზა ევნიან სხვა ქვეყანაში გადასასახლებლად. ამის განმი ის ურჩეულა მაყურებლებს, რომ ერთხელ ახალ ზაკურს მოქმედებასა. ძრება დიდი ყურადღებით უსმენდა და კიდეც გამოუცხადა იმ ორ კაცს, რომ თუმცა თქვენ ჰეშმარიტს გზაზედ დაადეგით, მაგრამ მაინც გული არ გაგვცივებიაო თქვენზედ.

—სომხის ისტორიკოსები. პარიჟში უ. ლანგლუას რედაქციის ხელქვეით აპირებენ სომხის ისტორიკოსების სრული თარგმანების გამოცემასა. ამ კრებულში (сборникъ) იქნება სხვათა შორის უფ. ბროსსეს ნათარგმნი სიუნის ისტორიისა და მალაქია-აბეგის ისტორიისა, თარგმანნი მხითარი-აირივანისა და ქირაკოზ განძაკეცისა.

—Ორი დიოგენი—შენგრიულს იუმორისტულს გაზეთში „Bolond Miska“ დაბეჭდილია შემდეგი კარიკატურა, რომელსაც ზედ აწერია: „ორი დიოგენი“. ბრაფი Iული ანდრასსი, შენგრიის სამხედრო მინისტრი, და ლონიაი, ფინანსების მინისტრი, (*) ორივე ძველებურს ტანისამოსში ჩაცმულნი და ხელში დიოგენის ფანრით, ქუჩაში ერთი ერთმანეთს შეყურებიან. ისინი დაიწყებენ ამ გვარს საუბარს: „რას ეძებ, ჩემო მეგობარო Iული“? - ჰკითხავს ლონიაი.—„ჯარს, რომელიც ჩემ ხელქვეით არის, რადგანაც მე სამხედრო მინისტრათ ვითვლები. შენკი რაღას ეძებ?“—„მე ვეძებ სახელმწიფო ხაზინას, რომლის გამგეობა მე მაბარია.“

სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 37).

1) Კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამართველოში ამ წლის 30 მაისს მოხდება ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა დავდრების დამზადება ოკრუგის სახაზინოსათვის, პრავიანტის მაღაზიებისა და ლოშპიტლებისათვის.

7) Კავკასიის ოკრუგის საინტენდანტო სამმართველო გამოაცხადებს, რომ დ სამზადებლათ სამხედრო ლოშპიტლებისთვის სხვა და სხვა საჭიროებისა მომავალის 1868 წლისთვის მოხდება ტორგი უპერეტორჟკოთ შემდეგ ვადაზედ:

ლოშპიტლებისათვის:		ტორგი
ქოსტანტინოვსის	29	მაისს 1867 წ.
ბაღშინის		
ხასავ-Iურთ.ს — — — —	2	ივნისს
უსტ-ლაბის — — — —	7	
სტავროპოლის — — — —	10	
გეორგიევსკის	13	
ეკატირინოგრადის		
პიატიგორსკის — — — —	16	
ვლადიკავკაზის — — — —	19	
ზუმრის — — — — —	20	
ზანჯის — — — — —	22	
ტფილისის — — — —	27	
დედოფლის-წყაროს	30	
უჯ-რლის		
ნახიჩევნის — — — —	3	ივლის
ზორის	6	
ზუდამაყრის		

ამ იჯარის გასაცემათ ტორგი იმ ალაგას მოხდება, სადაც ლოშპიტლები არიან, თვით ტოშპიტლის კანტორებში. მხოლოთ ტფილისის ლოშპიტლის ტორგი მოხდება ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში და ბაუშინის — ჭუთაისის გუბერნიის მმართველობაში.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

გამოვიდა და ისყიდება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში: **საქართველოს კალენდარი** 1867 წლისა, შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან. ფასი—ათი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება ახლად შედგენილი **ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის**, ი. ბოგებაშვილისა. ფასი ორი შაური, ხუცური ანბანით სამი შაური.

(*) Შენგრიაში ახლა არის თანამდებობა სამხედრო მინისტრისა და ფინანსებისა, მაგრამ საკუთარი ჯარი და ფონანსი კი არა აქვს. Შენგრიის ჯარი Ავსტრიის მინისტრს ემორჩილება და ამ საკოროლოს შემოსავალს Ავსტრიის ფინანსის მინისტრი განაგებს. ამ გვარათ ახლა გრაფი Ანდრასსი და ლონიაი სამხედრო მინისტრათ და ფინანსების მინისტრათ ითვლებიან და თავიანთ სამინისტროში საქმე კი არა აქვთრა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го мая 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ზ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.